საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

მნიშვნელოვანი სამომავლო ღონისძიებები

- 2022 წლის 1 იანვრიდან - განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამა ამოქმედდება
- 2022 წლიდან - ასოციაცია იწყებს ინსტიტუციური აკრედიტაციის გაცემას.
- გაეროს განვითარების პროგრამის UNDP -ის მხარდაჭერით ასოციაცია იწყებს კამპანიას - „გაიცანი მედიატორი“

სექტემბერი-დეკემბერი
2021 წელი

/MAG

/MediatorsGeorgia

ნუცუბიძის ქ. 14 ბ

MediatorsGeorgia

/mediators.ge

(032) 2 905 900

www.mediator.ge

მორიგი სამედიაციო სესია

სსიპ "საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" მემორანდუმის ფარგლებში აგრძელებს ურთიერთთანამშრომლობას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.
მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ უზრუნველყო კომფორტული და ტექნიკურად აღჭურვილი სამედიაციო სივრცის გამოყოფა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორისთვის.
7 სექტემბერს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფისში სამედიაციო სესია გამართა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორმა - ანა სამსონიამ.
„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ოფისის ტექნიკურად აღჭურვა განხორციელდა USAID/PROLoG - ის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მხარდაჭერით.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" წევრთა ერთიანი რეესტრი ფართოვდება!

9 სექტემბერს, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი შეხვდა "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ახალ წევრებს, რომლებსაც სერტიფიცირების პროგრამის დებულების მე-10.2 მუხლის ა) ქვეპუნქტის წესის საფუძველზე შესაძლებლობა მიეცათ გამხდარიყვნენ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის„ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ასოციაციის ახალ წევრებს დაათვალიერებინა ასოციაციის ოფისი, გააცნო ორგანიზაციის ფუნქციები, სტრატეგია და სამომავლო გეგმები.
შეხვედრის დასრულებისას ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ახლად გაწევრიანებულ მედიატორებს გადასცა მედიატორის მოწმობები და უსურვა წარმატება პროფესიულ საქმიანობაში!

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა" და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სამართლის აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სტატუსით დამკვიდრდა, მედიაციის სასწავლო კურსი.

შეხვედრა სტუდენტებთან, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სტაჟირება

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი შეხვდა სტუდენტებს, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სტაჟირება სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში“, აღნიშნული სტუდენტები არიან მედიატორთა ასოციაციის მიერ გამოცხადებულ ესეების კონკურსში აგრეთვე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ELSA საქართველოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მედიაციის კონკურსში გამარჯვებულები.

ასოციაციის თავმჯდომარემ სტუდენტები დააჯილდოვა სტაჟირების დამადასტურებელი მოწმობით და უსურვა მათ წარმატება!

სსიპ„საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობასთან აქტიური თანამშრომლობა. ასოციაცია მზად არის ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მედიაციით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის მედიაციაში!

მედიაციის შედარებითი უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან“.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ცნობიერების ამაღლება მედიაციის სფეროში.

სამუშაო შეხვედრა მედიატორთა სერტიფიცირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევების შემოწმების ეტაპში მონაწილე შემფასებლებთან

22-23 სექტემბერს სსიპ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მიერ განხორციელდა ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მხარდაჭერით მედიატორთა სერტიფიცირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევების შემოწმების ეტაპში მონაწილე შემფასებლებთან სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მედიატორთა მსურველ პირთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები, შემფასებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეფასების პროცესთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები, დისკუსიის შედეგად დაისახა სამომავლო მიზნები და საჭიროებები. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა გაცვალეს მოსაზრებები პირველი ნაკადის გამოცდილებაზე დაყრდნობით და აქცენტები გააკეთეს იმ ფუნდამენტურ საკითხებზე რაც მედიატორთა მსურველ პირთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა უმასპინძლა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივ მრჩეველს საქართველოში, ლენა მორტონ ოუენსს

შეხვედრაზე ირაკლი ყანდაშვილმა სტუმარს გააცნო საქართველოში მიმდინარე მედიაციის პროცესის, როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის წინაშე არსებული გამოწვევები და საჭიროებები, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის ხელმისაწვდომობის, პოპულარიზაციის გაზრდას საქართველოში.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მიმდინარე რეფორმები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა" და კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილმა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ - ირაკლი ლექვინაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმი მიზნად ისახავს, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, მედიაციისა და კონკურენციის სფეროში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, ასევე შეთანხმდნენ სამიზნე ჯგუფების ჩართულობით, განახორციელონ სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებები, სასწავლო პროექტები, გასვლითი სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა აქტივობები. მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები უზრუნველყოფენ საჯარო ინფორმაციის გაცვლას, სხვადასხვა კვლევების წარმოებას და კონსულტაციების გაწევას.

სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრეზენტაცია

2021 წლის 29 სექტემბერს სსიპ ,,საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც მხარდაჭერილი იყო ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ. ღონისძიება გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას ახლად არჩეული ეთიკის კომისიის წევრები წარუდგინა.

ღონისძიებაზე, ეთიკის კომისიის წევრებმა სტუმრებისათვის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის და მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულების პრეზენტაცია წარადგინეს.

პრეზენტაციის დასასრულს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიამ, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და ა(ა)იპ ,,საქართველოს არბიტრთა ასოციაციასთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. აღნიშნული მემორანდუმი მიზნად ისახავს თანამშრომლობას პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებსა და დისციპლინურ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - სოფიო დუღაშვილმა, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა“ და ა(ა)იპ ,,სააქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარეებმა თორნიკე ბაქრაძემ და ლაშა ნოდიამ.

ვებინარი - "სინგაპურის კონვენციის შესახებ"

5 ოქტომბერს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის „ ორგანიზებით, ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ვებინარი: „სინგაპურის კონვენციის შესახებ“, რომელსაც უძღვებოდა სინგაპურის მედიაციის ცენტრის სერტიფიცირებული მედიატორი, დოქტორი - DR. Bharati Rao. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა.



შეხვედრაზე ხაზი გაესვა სინგაპურის კონვენციის მნიშვნელობას საერთაშორისო კომერციული დავების მედიაციის გზით გადაწყვეტილ საქმეებზე და აღინიშნა, რომ კონვენცია უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ საშუალებებს მედიაციის შედეგების აღსასრულებლად.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა დისკუსია. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ განაგრძობს საერთაშორისო თანამშრომლობას და ასოციაციის წევრებს კვლავ მისცემს შესაძლებლობას გაეცნონ მედიაციის სფეროში საერთაშორისო პრაქტიკას.

სსიპ “ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ყველა მედიატორი, მზად არის კვალიფიციურად წარმართონ ყველა ის სამედიაციო პროცესი, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებებს



სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის“ მნიშვნელოვანია უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე საზოგადოება ბავშვის აღზრდისა და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში და შესაბამისად დაცული იყოს ბავშვთა საუკეთესო ინტერესები. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“დონორი ორგანიზაციის USAID PROLoG -ს მხარდაჭერით, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებულ “ბავშვთა უფლებათა კოდექსის” მოთხოვნათა შესაბამისად,უზრუნველყო ასოციაციის წევრი მედიატორების სრულად გადამზადება, რომლებიც სამედიაციო საქმიანობას ახორციელებენ ბავშთა უფლებებთან დაკავშირებლ საქმეებზე. აღნიშნული სპეციალიზირებული მედიატორების ჩართულობა სამედიაციო პროცესში, უზრუნველყოფს პროცესის დროს ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მათი ღირსების დაცვას, კეთილდღეობას და უსაფრთხოებას. ასოციაცია მუდმივად ზრუნავს და ხელს უწყობს ასოციაციის წევრ მედიატორებს პროფესიულ განვითარებაში. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი ულოცავს მედიატორებს რომლებსაც მიენიჭათ დამატებითი სპეციალიზაცია ბავშვთა უფლებებში.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ დაიწყო მორიგი პრო-ბონო პროექტის განხორციელება!

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ იწყებს მორიგი პრო-ბონო პროექტის განხორციელებას!

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ გაზარდა სხვადასხვა სფეროში სამართლებრივი დავების რიცხვი, განსაკუთრებით კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დავები.

ამ ფონზე წარმოშობილ სადაო საქმეებთან დაკავშირებით, ასოციაცია განსაკუთრებულად აქტიურადაა ჩართული, რათა საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება, შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი ხელს შეუწყობს, მედიატორების მიერ, მხარეებს შორის არსებული დავების სწრაფ და მშვიდობიან მოგვარებას.

სწორედ ამიტომ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს სოციალური, პრო-ბონო პროექტი, ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებზე.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა გააჩნიათ ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ დავის მონაწილე ყველა პირს, რომელთაც სურთ მედიაციის გზით დავის შეთანხმებით დასრულება.

პროექტი განხორციელდება პრო-ბონო პროექტში ჩართული მედიატორების მხარდაჭერით, რომლებიც უზრუნველყოფენ კვალიფიციურ და უფასო სამედიაციო მომსახურებას.

დაინტერესებულმა პირ(ებ)მა მოგვმართეთ: ვებ: info@mediators.ge, ტელ: 0322 2 905 900.

გაცნობითი სამუშაო შეხვედრა

“ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში,,

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა თამარ იმნაიშვილმა უმასპინძლეს “ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში,, ატაშე- გუნდის ხელმძღვანელს ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების და საშინაო საქმეებში - აგატა ნიეზოის და ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, დონორებთან კოორდინაციაში პროგრამის მრჩეველ მენეჯერს ანე ბირგიტე ჰენსენს.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოში მიმდინარე მედიაციის პროცესის, როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის წინაშე არსებული გამოწვევები და საჭიროებები, ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიმდინარე რეფორმები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

The European Union for Georgia

EU4Justice

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

პროექტ MEDIAT-ის პრეზენტაცია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროექტ MEDIAT-ის პრეზენტაცია.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა” და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ღონისძიებაზე მიწვეულ იქნა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი.

ასოციაციის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კიდევ ერთხელ აღნიშნა და ხაზი გაუსვა მედიაციის როლს და მნიშვნელობას საერთაშორისო მასშტაბით. თავმჯდომარემ პროექტის მონაწილე სტაჟიორებს, რომლებიც მიემგზავრებიან ქალაქ ესპანეთში მედიაციის თემაზე ორკვირიანი სასწავლო პროგრამის გასავლელად, უსურვა წარმატება.



ეთიკის კომისიის “გუნდის შეკვრის” აქტივობა

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" მმართველი გუნდის, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და ახლადარჩეული ეთიკის კომისიის წევრებისათვის USAID-PROLoG - Promoting Rule of Law in Georgia Activity_ის მხარდაჭერით "გუნდის შეკვრის" სავარჯიშო ტრენინგი გაიმართა.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
Promoting Rule of Law
in Georgia (PROLoG)

განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება დაიწყო 2021 წლის მაისიდან დონორი ორგანიზაციის USAID-PROLoG - Promoting Rule of Law in Georgia Activity_ის მხარდაჭერითა და მოწვეული უცხოელი ექსპერტის ბარია აჰმედის ჩართულობით.

სამუშაო ჯგუფი შედგებოდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სხვა დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მედიატორებისაგან.

შემაჯამებელ შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფმა, განიხილა უცხოელი ექსპერტის რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებითაც შემუშავდა განგრძობადი პროფესიული განვითარების დოკუმენტი.

საბოლოო რედაქციის დამტკიცება განხორციელდება 2021 წლის დეკემბერში ასოციაციის წევრების მიერ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საერთო კრებაზე 2021 წლის დეკემბერში.

განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამა ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG)

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის შეხვედრა

მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის, რომელსაც თავმჯდომარეობდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ირაკლი ყანდაშვილი.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის წევრებმა შეხვედრაზე განიხილეს, თავიანთი იურისდიქციის მიხედვით წარმომადგენლის როლი მედიაციის პროცესში.





საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) ორგანიზებით “Twinnig for lawyers” პროგრამის ფარგლებში მესამე საერთაშორისო კონფერენციაში.

ირაკლი ყანდაშვილმა, კონფერენციაზე მოდერირება გაუწია პანელს - “ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები - სასამართლოს გადატვირთულობის შემცირება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა“. აღნიშნულ პანელში მონაწილეობას იღებდნენ მედიაციის კომიტეტის წევრები 12 ქვეყნიდან.

შეხვედრის მონაწილეებს ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) პრეზიდენტი - მარია სლაზაკი, ევროპის თანამშრომლობის პროგრამის ხელმძღვანელი - ლილია გრეტარსდოტირი და სომხეთის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე სიმონ ბაბაიანი მიესალმნენ.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მზად არის გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა და ჩართულობა საერთაშორისო პარტნიორებთან მსოფლიო მასშტაბით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელმა მდივანმა, თამარ იმნაიშვილმა, ასოციაციის სახელით ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს პლასტიკის მავნე ზეგავლენისგან გარემოს დაცვას და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების პლატფორმის შექმნას. აღნიშნული ღონისძიება მხარდაჭერილი იყო შვედური ინსტიტუტისა და შვედეთის საელჩოს მიერ. „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ დაფუძნების დღიდან მხარდამჭერია და მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა გარემო. ასოციაცია მზად არის ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს მსგავს აქტივობებში, რათა თავისი წვილი შეიტანოს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი "საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა" და „მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს“ შორის

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და „მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს“ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს, მედიაციის პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივი პუბლიკაციების შემუშავებას და გამოცემას; საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ერთობლივი აქტივობების განხორციელებას. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლებას მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხებზე.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა გვანცა ჩხეიძემ.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და „მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს“ შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრებთან გაიმართა გაცნობითი სამუშაო შეხვედრა. რომელიც მიზნად ისახავს ცნობირების ამაღლებას სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა კანომდებლობით მინიჭებული უფლებების, კომპანიების ვალდებულებების, საჩივრის/განცხადების განხილვის წესებზე და ვადებზე, აგრეთვე დარგში შემავალ სხვა საკითხებზე.

1 ნოემბერიდან დაიწყო მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევების განვითრების მიზნით პროგრამაზე რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმების ეტაპი.

მესამე ეტაპის განხორციელება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ გადმოცემულ საქმეთა ნაკადის რაოდენობაზე

სამუშაო შეხვედრა მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებს და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს შორის

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებს და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს შორის.

შეხვედრაზე დამსწრე წევრები გაეცნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 4 წლის საქმიანობის ანგარიშს, გამოცდილებას და პრაქტიკას. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა დისკუსიის რეჟიმში, სადაც დამსწრე წევრებმა განიხილეს სხვადასხვა გამოწვევები ახლად დაარსებული ინსტიტუციებისათვის, და საზოგადოების ნდობის გაზრდის გზები.

ეთიკის კომისიის მორიგი სამუშაო შეხვედრა და დისციპლინური ...მოების რეკომენდაციების განხილვა



მედიაციის პრაქტიკის გამოცდილების ანალიზი მეზობელ ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, უზბეკეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოწვევით შეხვედრა გამართა უზბეკეთის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან თემაზე - მედიაციის პრაქტიკის გამოცდილების ანალიზი მეზობელ ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი.

შეხვედრაზე უზბეკეთის რესპუბლიკის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს ირაკლი ყანდაშვილმა გააცნო მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დანერგვისა და გამოყენების საქართველოში არსებული გამოცდილება.

შეხვედრაზე ასევე გაზიარებულ იქნა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საქმიანობის და იმ წარმატებების შესახებ, რაც ასოციაციამ კანონის მიღებიდან დღემდე განვლო განვითარების გზაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკამ აშკარად ცხადყო არსებული დავების მედაციის გზით გადაწყეტის ეფექტიანობა და სწორედ ამიტომ ასოციაცია მზად არის განაგრძოს აქტიური საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს მედიაციის განვითარებას რეგიონში.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და დონორი ორგანიზაციის UN WOMEN _ის მხარდაჭერით, ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერი და გენდერული ურთიერთობები“

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და დონორი ორგანიზაციის UN WOMEN _ის მხარდაჭერით, ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერი და გენდერული ურთიერთობები“.

ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, ხოლო ტრენინგს უძღვებოდა დონორი ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპეტი მამუკა გაჩეჩილაძე.

ღონისზიებაზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ქვეყანაში არსებული მექანიზმები, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებს.

სსიპ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ" საქართველოში ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს უმასპინძლა

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა თამარ იმნაიშვილმა 19 ნოემბერს, ასოციაციის ოფისში უმასპინძლეს საქართველოში ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს და “ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში,, ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, დონორებთან კოორდინაციაში პროგრამის მრჩეველ მენეჯერს ანე ბირგიტე ჰენსენს.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოში მიმდინარე მედიაციის პროცესის, როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის წინაშე არსებული გამოწვევების და საჭიროებების შესახებ.

ასევე ამ მოკლე პერიოდში დანერგილი სიახლეების და რეფორმების კონკრეტული შედეგები, რაც მიზნად ისახავს მედიაციის პოპულარიზაციის გაზრდას და კიდევ უფრო სწრაფი და სანდო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოში.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიმდინარე რეფორმები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” და “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ერთობლივი ინიციატივით, USAID-PROLoG - Promoting Rule of Law in Georgia Activity მხარდაჭერით დაფუძნდა ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი “მედიაცია იურისტებისთვის”, რომელიც ყოველ წელს გაიმართება.

პირველი ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი “მედიაცია იურისტებისთვის”

საერთაშორისო ფორუმი “მედიაცია იურისტებისათვის” გახსნა და მოდერირება გაუწია „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა. ფორუმზე, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ნინო ქადაგიძემ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ ტყეშელაშვილმა, USAID-ის მისიის დირექტორმა პიტერ ვიბლერმა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მარია სლაზაკმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა. ფორუმში მონაწილეობას ასევე იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული უცხოელი ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი ქვეყნის პრაქტიკა და გამოცდილება. საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლის როლს მედიაციის პროცესში. საერთაშორისო ფორუმის „მედიაცია იურისტებისთვის“ დაფუძნება არის ძალზედ კარგი შესაძლებლობა იურისტებისათვის ყოველწლიურად გაეცნონ დავის რეგულირების ალტერნატიული მექანიზმის შესახებ სიახლეებს.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაცია” აქტიურად აგძელებს მედიაციის პოპულარიზაციას და განვითარებას. სწორედ ამ მიზნით 22 ნოემბერს ხელი მოეწერა ქარტიას, რომლითაც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ინსტიტუციებმა გამოხატეს მზაობა შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ მედიაციის განვითარებას. ქარტიაზე ხელმოწერით მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ - ნინო ქადაგიძემ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ- თამარ ტყეშელაშვილმა, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ- დავით ასათიანმა და „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ხელმომწერ ინსტიტუციების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა მედიაციის განვითარების პროცესში შეტანილი წვლილისთვის და აღნიშნა, რომ ურთიერთთანამშრომლობა და მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანი და სამაგალითოა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაცია” აქტიურად აგძელებს მედიაციის პოპულარიზაციას და განვითარებას

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი თამარ იმნაიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურის 25 სტუდენტი მედიატორისა და მხარე-წარმომადგებლის პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით, სპეციალური მომზადების საფუძველზე უშუალოდ ჩაერთვებიან მედიატორის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით ორგანიზებულ მედიაციის სიმულაციურ პროცესებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების აქტივობა ხორციელდება მედიაციის კლინიკური სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში და აღიარებულ იქნება სასწავლო კრედიტებად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ სემესტრებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენდენტების 2-თვიანი სტაჟირება და მედიაციის კლინიკური სწავლების პრაქტიკული მოდული საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ბაზაზე განხორციელდება ყოველ სემესტრულად მედიატორის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და დონორი ორგანიზაციის გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)_ის მხარდაჭერით, ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ბავშვებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები სამოქალაქო მედიაციაში"

unicef | for every child

Georgia



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და დონორი ორგანიზაციის გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)_ის მხარდაჭერით, ასოციაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ბავშვებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები სამოქალაქო მედიაციაში" ღონისძიება გახსნა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილემ ქალბატონმა ემი ქლანსმა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ღონისძიებები და აქტივობები უაღრესად მნიშვნელოვანია მედიაციის განვითარებისთვის, და მათ შორის არსებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში კიდევ ბევრ მსგავსი აქტივობის განხორციელებას უზრუნველყოფენ მომავალში. ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორიც არის: ბავშვის განვითარების და ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებები, ფსიქოლოგის როლი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში ბავშვის მონაწილეობით, მშობელი-ბავშვის ფსიქოლოგიური სირთულეები, ოჯახში ძალადობა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები და სხვა. სპეციალიზირებული მედიატორების ჩართულობა სამედიაციო პროცესში, უზრუნველყოფს პროცესის დროს ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მათი ღირსების დაცვას, კეთილდღეობას და უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ ასოციაცია მუდმივად ზრუნავს და ხელს უწყობს ასოციაციის წევრ მედიატორებს პროფესიულ განვითარებაში.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა" და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა გაცნობითი შეხვედრა გამართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა სტუდენტებს გააცნო საქართველოში მიმდინარე მედიაციის პროცესი, როგორც დავის რეგულირების ახალი მექანიზმის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში, ასევე ისაუბრა სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სტატუსით დამკვიდრებულ, მედიაციის სასწავლო კურსის მნიშვნელობაზე სტუდენტებისთვის.

შეგახსენებთ, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა მემორანდუმის ფარგლებში სამართლის აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სტატუსით დამკვიდრდა, მედიაციის სასწავლო კურსი.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობასთან აქტიური თანამშრომლობა. ასოციაცია მზად არის ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მედიაციით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

მედიაციის კვირეული

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

Tbilisi Mediation Days 2021

თბილისის მედიაციის დღეები 2021

	13 - 14 დეკემბერი
:00 – 18:00	**ტრენინგი მედიატორებისთვის "ბავშვებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ასპექტები ს მედიაციაში".** Training: Aspects of Child Psychology in Civil Mediation" (supported by UNICEF)
	14 დეკემბერი
11:00	**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მედიაციის ცენტრის გახსნა** Opening of the Court Mediation Center at the Tbilisi Appeals Court
15:00	**გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი - ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ფორუმი** Global Compact Network Georgia - Business and Human Rights Forum
	15 დეკემბერი – MOXY HOTEL
4:00 – 17:00	**სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებისთვის: სინგაპურის კონვენციის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის** Workshop for Judges – Singapore Convention: its role and importance for Georgia
19:00	**M-Talks (supported by USAID/PROLOG project)** **ალექსანდრე ნულაძე** - მოსამართლის როლი მედიაციაში Aleksandre Tsuladze on Role of Judge in Mediation
	16 დეკემბერი
14:00 – 17:00	**ალედ დევისის ვორქშოფი მედიატორებისთვის:** კრიზისული მომენტების მენეჯმენტი მე **Mediators' Workshop of Aled Davies** Managing Moments of Crisis in Mediation Zoom
	17 დეკემბერი – HILTON GARDEN INN
14:00 – 17:00	**მედიაციის ინტერდისციპლინური ფორუმი** Interdisciplinary Mediation Forum
19:00	**M-Talks (supported by USAID/PROLOG project)** **ქეთევან მეფარიშვილი** - რატომ პროფესია მედიატორი Ketevan Meparishvili on Profession of a Mediator
	18 დეკემბერი – SHERATON METHEKHI GRAND PALACE
1:00 - 12:30	**საქართველოს მედიატორთა წლიური შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა მოსამართლეებთან** Presentation of the Annual Summary MAG Report on Mediation to Judiciary
14:00 – 17:00	**სხიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" საერთო კრება** General Meeting of Mediators Association of Georgia
20:00	**საიუბილეო შემაჯამებელი საღამო** MAG Reception

Global Compact Network Georgia

Sverige

unicef for every child

სსიპ “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ” ირაკლი ყანდაშვილმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის თავმჯდომარემ დიმიტრი გვრიტიშვილმა მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში საზეიმო ვითარებაში სიმბოლური ლენტის გაჭრით გახსნეს მედიაციის ცენტრი. სასამართლოში მოწყობილი კომფორტული სამედიაციო სივრცე ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია კიდევ ერთხელ ულოცავს თითოეულ მედიატორს პროფესიულ დღეს და უსურვებს წარმატებას მათ საქმიანობაში.



ფორუმი „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ შესახებ

მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით გაიმართა პირველი „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების“ ფორუმი, აღნიშნული ფორუმი მხარდაჭერილი იყო შვედეთის მთავრობის მიერ. ფორუმი გახსნეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აკაკი საღირაშვილმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და USAID საქართველოს წარმომადგენელმა ბევერლი ჰუვერმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ასოციაციის დაარსებიდან 2 წლის მანძილზე მიღწეული პროგრესის, გამოწვევების და სამომავლო გეგმების შესახებ. ღონისძიების დასასრულს გაიმართა მრგვალი მაგიდის დისკუსიები, რომელიც ფოკუსირებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ,პოლიტიკის დონეზე მიღებულ მექანიზმებზე,რომლებიც ახალისებს ბიზნეს სექტორში UNGP-ების დანერგვას და აგრეთვე ქვეყანაში არსებული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ეფექტიანობაზე.

სამუშაო შეხვედრა „სინგაპურის კონვენციის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის“

15 დეკემბერს მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „სინგაპურის კონვენციის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის“. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა სსიპ "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აკაკი საღირაშვილმა და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის მენეჯერმა ლიანა ქარცივაძემ. ღონისძიებაზე ხაზი გაესვა სინგაპურის კონვენციის როლსა და მნიშვნელობას საქართველოში.

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

ვორქშოფი - „კრიზისული მომენტების მენეჯმენტი მედიაციაში“

მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის ჩატარდა ვორქშოფი თემაზე „კრიზისული მომენტების მენეჯმენტი მედიაციაში“ რომელსაც წარუძღვა მოწვეული უცხოელი ექსპერტი ალედ დევისი. ღონისძიება ჩატარდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს ასოციაციის წევრ მედიატორებს პროფესიულ განვითარებაში.



ინტერდისციპლინური ფორუმი -„მედიაცია საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივა“

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა პირველი ინტერდისციპლინური ფორუმი - „მედიაცია საქართველოში - გამოწვევები და პერსპექტივა“. ფორუმი მიმდინარეობდა პანელური დისკუსიის რეჟიმში, რომელსაც მოდერირებას უწევდა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი. საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ფორუმის წევრებს მიესალმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე დავით ფუტკარაძე, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე - ირაკლი პეტრიაშვილი და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - ლაშა ლაბაძე. აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის,საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთბლივი პროექტის წარმომადგენლებმა.ფორუმზე მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შრომითი და კომერციულ დავების ეფექტურად გადაწყვეტაში მედიაციის როლზე, მომხსენებლებმა ხაზი გაუსვეს ბიზნეს სექტორში მედიაციის მნიშვნელობას. მონაწილეებმა აგრეთვე ისაუბრეს სანოტარო მედიაციის განვითარების საჭიროებებზე და საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლების მიზნით მის პოპულარიზაციის გზებზე. ღონისძიების დასასრულს გაიმართა დისკუსია.

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მორიგი საერთო კრება

საერთო კრებაზე, ასოციაციის თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა მოქმედ მედიატორებს მედიატორთა ასოციაციის საქმიანობის ერთ წლიანი ანგარიში წარუდგინა.

კრებაზე განხილულ იქნა ასოციაციის წესდებაში და „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულებაში შესატანი ცვლილებები, რომელსაც მხარი დაუჭირეს კრებაზე დამსწრე წევრებმა. 2021 წლის 18 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით, სერტიფიცირების პროგრამის დებულების ახალი რედაქციით კიდევ უფრო გამარტივდა, უცხოელ მედიატორთა მხრიდან საქართველოში მედიაციის განხორციელების შესაძლებლობა.

კრებაში მონაწილე მედიატორებმა ასევე განიხილეს და დაამტკიცეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ განგრძობადი პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ქუთაისში, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში სასამართლო მედიაციის ცენტრები გახსნეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო ქადაგიძემ და "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ქუთაისში საზეიმო სიმბოლური ლენტის გაჭრით გახსნეს ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში სასამართლო მედიაციის ცენტრები.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარის ირაკლი ყანდაშვილის განცხადებით, რეგიონალურ ჭრილში გადადგმული მედიაციის დანერგვის მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას ქვეყანაში.

როგორც „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ინფორმაციაშია აღნიშნული, ასოციაცია მუდმივად ცდილობს საზოგადოებას შესთავაზოს ყოველმხრივი მხარდაჭერა, რაც სოციალური მშვიდობის დამყარებას ემსახურება, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გახსნილი მედიაციის ცენტრები ემსახურება მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას საზოგადოებისათვის, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მედიაციის საშუალებით.

მედიაციას საქართველოში დიდი მომავალი აქვს და მალე ის როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების საშუალება სამართლებრივ სივრცეში უალტერნატივო იქნება !

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“
თავმჯდომარე

ირაკლი ყანდაშვილი